ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ .....
..... 5000002313 ..... 201 წ.
03.01.2013

5000002313

მოქალაქე მალხაზ კვესელავას.

(თბილისი ბაქოს ქ. N 2)

ბატონო მალხაზ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2012 წლის 28 ნოემბრის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1010155912) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000004713 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად.

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი
ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84 (995 32) 225 84 84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia (995 32) 229 05 24 info@forensics.ge
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5 (995 431) 21 30 03
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia info@forensics.ge
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145 (995 422) 27 94 30
145 Pushkini str. Batumi., Georgia info@forensics.ge

000004713

ექსპერტის დასკვნა № 000004713

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

მისამართი: თბილისი ბაქოს ქ. N 2

სახელი და გვარი: მალხაზ კვესელავა

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ჯემალ ესაიაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 1 წლის სტაჟით

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ,ვიზუალურად შეისწავლოთ ჯიქიას ქ. №9-ში მდებარე ოთხსართულიანი სასწავლო შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მოგვცეთ დასკვნა, შესაძლებელია თუ არა მასზე მანსარდის ტიპის სართულის დაშენება.

შემოსვლის თარიღი: 28.11.2012წ

გასვლის თარიღი: 03.01.2013წ

დასკვნა

ქ. თბილისში ჯიქიას ქ.#9-ში ჩატარებული იქნა არსებული ოთხსართულიანი შენობის ვიზალური საინჟინრო ტექნიკური კვლევა. შენობა კარკასული ტიპისაა,მართკუთხა ფორმის. გაბარიტული ზომებით გეგმაში 10 x 61 მ. კარკასის დგარების და რიგელების განივკვეთი 30x30 სმ-ია. შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მზიდ კონსტრუქციებზე რაიმე სახის ბზარები ან დეფორმაციები არ შეიმჩნევა. შენობაზე შესაძლებელია მანსარდის ტიპის, მსუბუქ კონსტრუქციებში განხორციელებული სართულის დაშენება, შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით, სადაც ანგარიშის საფუძველზე გათვალისწინებული იქნება მოქმედი სამშენებლო ნორმები და არსებული მზიდი კონსტრუქციების მედეგობა დაშენების შედეგად წარმოქმნილი დატვირთვებისადმი.

ჯემალ ესაიაშვილი

გამოკვლევა

ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში ჯიქიას ქ.#9-ში მდებარე მართკუთხა ფორმის, ოთხსართულიანი კარკასული ტიპის შენობა, რომლის გაბარიტული ზომები გეგმაში 61x10 მ-ია. კარკასის დგარების განივკვეთი 30x30 სმ-ია (სურ.#1). შენობა კორიდორული სისტემისაა. შენობის მთელ სიგრძეზე მცირე 2,800 სიგანის მალში კორიდორია მოწყობილი. საიდანაც 10 დამოუკიდებელ ოთახში ხდება შესვლა. შენობას კორიდორის ბოლოებში ორი კიბის უჯრედი გააჩნია. სართულშუა გადახურვები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილებია. მზიდი კარკასის (სურ.#2 და სურ.#3) შემომფარგულავი ელემენტები გრძივი მიმართულებით ორი ტიპისაა: ერთი კიდული, პემზა ბეტონის პანელებია, ხოლო მეორე მხარეს თვითმზიდი აგურის კედლები (სურ#4 და სურ# 5) თავიანთი საძირკვლებით. შენობაზე რაიმე სახის ბზარები არ შეიმჩნევა. ნაგებობის კედლებზე არც ჯდენით

გამოწვევული დეფორმაციები შეინიშნება. შენობაზე შესაძლებელია მანსარდის ტიპის, მსუბუქ კონსტრუქციებში განხორციელებული სართულის დაშენება.

ჯემალ ესაიაშვილი

გამოყენებული მასალები

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევის და სეისმომედგეობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1 - სურ. №1



ფოტო 2 - სურ. 2



ფოტო 3 - სურ. №3



ფოტო 4 - სურ. №4



ფოტო 5 - სურ. №5